ოქმი:**ო02. 3723269001**

თარიღი:**26/09/2023**

**ოქმი № 14**
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის**

2023 წელი, 22 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: თ. ტუღუში, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ბ. ქატამაზე,თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: ბ. თოიძე**

**თანამომხსენებელი: თ. მურვანიძე**

2. ქ. ოზურგეთში, ე. ნინოშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

**მომხსენებელი: ბ. თოიძე**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოლო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ ვრცლად ისაუბრა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და შესრულების ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტი დაიწყო შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობით. გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შემდეგ განიხილა გეგმის ძირითადი მიმართულებები, გეგმა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობებს, ტრანსპორტს და გარე განათებას, ამ სეგმენტში მოხმარებულ ენერგიას, საწვავს და ა.შ. გეგმა შემუშავებულია 2019 წლის მონაცემების საფუძველზე, ითვალისწინებს პროგნოზს, რომელიც მიღწეული უნდა იქნას 2030 წლისათვის. ძირითადი ინფორმაციის

მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში, თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი:"ქ. ოზურგეთში, ე. ნინოშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ" - კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა მუდმივმოქმედ კომისიათა ერთობლივ სხდომაზე.

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული განკარგულების პროექტები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე